


შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„ბს / 2 ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით



შინაარსი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა.....	3
ანგარიშება ფინანსური მდგომარეობის შესახებ.....	4
მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშება.....	5
ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი	6
კაპიტალის მოძრაობის უწყისი	7
ფინანსური ანგარიშების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	8

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

შპს „ბს/2 ჯორჯია“

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ბს/2 ჯორჯიას“ („ორგანიზაცია“) ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის, მათ შორის სააღრიცხვო პოლიტიკის, ისეთი ფორმით წარდგენაზე, რაც უზრუნველყოფს შესაბამის, სანდო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- წარადგინოს დამატებითი განმარტებები, როდესაც ფასს-ის კონკრეტულ მოთხოვნებთან შესაბამისობა არ არის საკმარისი მომხმარებელს მიაწოდოს ინფორმაცია, რათა მისთვის ცხადი იყოს კონკრეტული ტრანზაქციების, სხვა მოვლენებისა და გარემოებების გავლენა „ორგანიზაციის“ ფინანსური მდგომარეობასა და ფინანსური შედეგებზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ორგანიზაციაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ორგანიზაციას ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ორგანიზაციას აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილ იქნა გამოსაშვებად 2021 წლის 10 აპრილს.

მენეჯმენტის სახელით:

დირექტორი
ანდრეი სმირნოვ
10 აპრილი, 2021
თბილისი, საქართველო

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

შპს „ბს/2 ჯორჯია“

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ბს/2 ჯორჯიას“ („ორგანიზაცია“) ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის, მათ შორის სააღრიცხვო პოლიტიკის, ისეთი ფორმით წარდგენაზე, რაც უზრუნველყოფს შესაბამის, სანდო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- წარადგინოს დამატებითი განმარტებები, როდესაც ფასს-ის კონკრეტულ მოთხოვნებთან შესაბამისობა არ არის საკმარისი მომხმარებელს მიაწოდოს ინფორმაცია, რათა მისთვის ცხადი იყოს კონკრეტული ტრანზაქციების, სხვა მოვლენებისა და გარემოებების გავლენა „ორგანიზაციის“ ფინანსური მდგომარეობასა და ფინანსური შედეგებზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ორგანიზაციაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ორგანიზაციას ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ორგანიზაციას აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილ იქნა გამოსაშვებად 2021 წლის 10 აპრილს.

მენეჯმენტის სახელით:

დირექტორი

ანდრეი სმირნოვ

10 აპრილი, 2021

თბილისი, საქართველო



ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ

შენიშვნა		ლარი 31.12.2018	ევრო 31.12.2018	ლარი 31.12.2017	ევრო 31.12.2017
მოკლევადიანი აქტივები:					
ფული და ფულადი ექვივალენტები	1	48 367	15 754	50 655	16 317
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან		698 192	227 417	744 027	239 669
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	2	2 032 786	662 124	1 017 898	327 889
მოთხოვნები საწარმოს თანამშრომელთა მიმართ		9 096	2 963	9 173	2 955
წინასწარ გადახდილი გადასახადები	3	180 894	58 921	223 543	72 008
გაცემული ავანსი	4	694 304	226 150	240 961	77 619
სულ მოკლევადიანი აქტივები:		3 663 639	1 193 329	2 286 257	736 457
გრძელვადიანი აქტივები:					
ძირითადი საშუალებები, ნეტი	5	5 889 313	1 918 280	4 381 845	1 411 495
არამატერიალური აქტივი, ნეტი	6	7 719	2 514	8 547	2 753
სულ გრძელვადიანი აქტივები:		5 897 032	1 920 795	4 390 392	1 414 248
სულ აქტივები:		9 560 671	3 114 124	6 676 650	2 150 705
მოკლევადიანი ვალდებულებები:					
ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან		3 296 827	1 073 850	1 685 687	542 999
მიღებული ავანსები		411 127	133 913	40 249	12 965
საგადასახადო ვალდებულებები	7	142 355	46 368	51 863	16 706
გადასახდელი პროცენტები	8	19 878	6 475	11 827	3 810
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი		2 009 340	654 487	1 790 152	576 650
ლიზინგის გრძელვადიანი ვალდებულების მიმდინარე ნაწილი		59 635	19 424	42 497	13 689
ვალდებულებები საწარმოს თანამშრომელთა წინაშე		61	20	49	16
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები:		5 939 223	1 934 537	3 622 324	1 166 835
გრძელვადიანი ვალდებულებები					
ლიზინგის გრძელვადიანი ვალდებულება		56 531	18 413	63 783	20 546
გრძელვადიანი სესხები	9	1 424 053	463 846	1 460 774	470 549
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1 480 584	482 259	1 524 556	491 095
საწესდებო კაპიტალი	10	200	65	200	64
გაუნაწილებელი მოგება	11	2 140 663	697 262	1 529 569	492 710
სულ საკუთარი კაპიტალი		2 140 863	697 327	1 529 769	492 775
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		9 560 671	3 114 124	6 676 650	2 150 705

დირექტორი
 ანდრეი სმირნოვ
 10 აპრილი, 2021
 თბილისი, საქართველო

შპს „ბს/2 ჯორჯია“
 მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

<u>მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება</u>					
	<u>შენიშვნა</u>	<u>ლარი</u> <u>31.12.2018</u>	<u>ევრო</u> <u>31.12.2018</u>	<u>ლარი</u> <u>31.12.2017</u>	<u>ევრო</u> <u>31.12.2017</u>
შემოსავალი რეალიზაციიდან და მომსახურებიდან		7 852 894	2 557 862	11 336 294	3 651 686
სხვა შემოსავალი	<u>13</u>	<u>1 856 423</u>	<u>604 678</u>	<u>1 275 398</u>	<u>410 836</u>
სულ შემოსავალი	<u>-</u>	<u>9 709 317</u>	<u>3 162 541</u>	<u>12 611 692</u>	<u>4 062 522</u>
მატერიალური ხარჯები	<u>14</u>	<u>3 734 998</u>	<u>1 216 572</u>	<u>8 175 007</u>	<u>2 633 361</u>
დარიცხული ხელფასის ხარჯი	<u>15</u>	<u>1 077 298</u>	<u>350 900</u>	<u>849 184</u>	<u>273 542</u>
ცვეთა და ამორტიზაცია	<u>16</u>	<u>1 353 624</u>	<u>440 906</u>	<u>484 042</u>	<u>155 921</u>
ავტომობილის ხარჯი	<u>17</u>	<u>144 644</u>	<u>47 114</u>	<u>115 326</u>	<u>37 149</u>
იჯარის ხარჯი	<u>18</u>	<u>116 147</u>	<u>37 832</u>	<u>105 555</u>	<u>34 002</u>
ადმინისტრაციული ხარჯი	<u>19</u>	<u>148 874</u>	<u>48 492</u>	<u>176 202</u>	<u>56 759</u>
ტექნიკური მხარდაჭერის ხარჯი	<u>20</u>	<u>1 606 467</u>	<u>523 262</u>	<u>905 645</u>	<u>291 729</u>
სხვა საოპერაციო ხარჯები	<u>21</u>	<u>120 523</u>	<u>39 257</u>	<u>336 596</u>	<u>108 425</u>
კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული ზარალი	<u>22</u>	<u>489 963</u>	<u>159 592</u>	<u>681 285</u>	<u>219 458</u>
საკონსულტაციო ხარჯი	<u>23</u>	<u>20 924</u>	<u>6 815</u>	<u>15 550</u>	<u>5 009</u>
ფინანსური ხარჯი	<u>24</u>	<u>284 762</u>	<u>92 753</u>	<u>158 962</u>	<u>51 205</u>
სულ ხარჯები		<u>9 098 223</u>	<u>2 963 494</u>	<u>12 003 355</u>	<u>3 866 562</u>
მოგება დაბეგვრამდე		611 094	199 047	608 338	195 960
მოგების გადასახადი				9 199	2 963
			0		
გაუნაწილებელი მოგება		<u>611 094</u>	<u>199 047</u>	<u>599 139</u>	<u>192 997</u>

დირექტორი
 ანდრეი სმირონოვ

10 აპრილი, 2021
 თბილისი, საქართველო

ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი

	ლარი 31.12.2018	ევრო 31.12.2018	ლარი 31.12.2017	ევრო 31.12.2017
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა				
მყიდველებიდან მიღებული ფულადი სახსრები(+)	9 685 400	3 154 751	12 173 746	3 921 449
მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები (-)	(4 320 812)	(1 407 385)	(7 784 705)	(2 507 636)
თანამშრომლებზე და მათი სახელით გაცემული ფულადი სახსრები (-)	(854 370)	(278 287)	(686 923)	(221 274)
გადახდილი გადასახადები (-)	(1 485 805)	(483 960)	(2 335 677)	(752 376)
სხვადასხვა (-/+)	(93 750)	(30 536)	(81 031)	(26 102)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	2 930 663	954 582	1 285 410	414 061
საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა				
ძირითადი საშუალებების შეძენა (-)	(2 905 778)	(946 477)	(4 229 690)	(1 362 482)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია (+)	117 494	38 271	23 497	7 569
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(2 788 284)	(908 206)	(4 206 193)	(1 362 482)
საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა				
მიღებული სესხი (+)	2 211 330	720 279	3 603 150	1 160 659
სესხის ძირის დაფარვა (-)	(2 131 694)	(694 340)	(680 187)	(219 104)
სესხის პროცენტის დაფარვა (-)	(224 303)	(73 060)	(91 364)	(29 431)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(144 667)	(47 121)	2 831 598	912 124
ფულადი სახსრები და ექვივალენტების წმინდა ზრდა (კლება)	(2 287)	(745)	(89 185)	(28 729)
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის დასაწყისში	50 655	148 536	139 840	45 046
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის ბოლოს	48 367	15 754	50 655	16 317

დირექტორი
ანდრეი სმირნოვ
10 აპრილი, 2021
თბილისი, საქართველო

	კაპიტალის მოძრაობის უწყისი					
	ლარი	ევრო	ლარი	ევრო	ლარი	ევრო
	საწესდებო კაპიტალი	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირე ბული ზარალი/გა უნაწილებე ლი მოგება	აკუმულირე ბული ზარალი/გა უნაწილებე ლი მოგება	სულ	სულ
ბალანსი 31.12.2016	200	72	773 627	276 889	773 827	295 704
მოგება (ზარალი)			599 139	192 997	599 139	192 997
გადავადებული საგადასახადო ვალდებულების შემცირება			156 805	50 511	156 805	50 511
ბალანსი 31.12.2017	200	64	1 529 569	492 710	1 529 769	492 775
მოგება (ზარალი)			611 094	199 047	611 094	199 047
ბალანსი 31.12.2018	200	65	2 140 663	697 262	2 140 863	697 327

დირექტორი
 ანდრეი სმირონოვ

10 აპრილი, 2021
 თბილისი, საქართველო

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბს/2 ჯორჯია“ (ს.კ. 205274291) რეგისტრირებულია საქართველოში 2009 წლის 5 მარტს. საზოგადოების დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელია არარეზიდენტი იურიდიული პირი - სააქციო საზოგადოება პიანკიუ კონტინენტუ ბანკინეს ტექნოლოგიის (ლიტვა). “ორგანიზაციას” 2013 წლის სექტემბრიდან ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი - ანდრეი სმირნოვი (ლიტვის მოქალაქე). 2020 წლის მაისიდან დაინიშნა დირექტორი - ემილიო კირისი.

შპს „ბს/2 ჯორჯიას“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ბანკომატების და პოს-ტერმინალების იმპორტირება და რეალიზაცია ადგილობრივ ბაზარზე, აგრეთვე რეალიზებული ბანკომატების და პოს-ტერმინალების შემდგომი მომსახურება.

შპს „ბს/2 ჯორჯია“ საქმიანობას ახორციელებს მთელი საქართველოს მასშტაბით. საქმიანობის კოორდინირება აღმოსავლეთ საქართველოში თბილისში ხდება, ხოლო დასავლეთ საქართველოში ბათუმის ოფისიდან, რომლებიც იჯარით არის აღებული.

ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) დანერგვა

ორგანიზაციის თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (“ზასს”) მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (“ფასს”) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის (“ფაისკ”) მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების შესაბამისად.

2018 კომპანიამ მიიღო და გამოიყენა შემდეგი ახალი და შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები:

- ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები;
- ფასს 15 – ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან (და დაკავშირებული განმარტებები);

კომპანიამ ფასს 15 და ფასს 9 პირველად გამოიყენა. ახალი სტანდარტების გამოყენებით გამოწვეული ცვლილებების ეფექტი და შინაარსი აღწერილია ქვემოთ.

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ ანაცვლებს ბასს 39 „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ დაწყებული პერიოდებისათვის და აერთიანებს ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვის სამივე ასპექტს: კლასიფიკაცია და შეფასება; გაუფასურება; ჰეჯირების აღრიცხვა.

ამ სტანდარტის გამოყენებას არ ჰქონია გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 15 – ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ფასს 15 ანაცვლებს სტანდარტს: ბასს 11- „სამშენებლო ხელშეკრულებები“, ბასს 18 – „შემოსავლები და მასთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს“ და გარკვეული შეზღუდვებით, ვრცელდება ყველა შემოსავალზე, რომელიც კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიიღება.

ფასს 15-ის ძირითადი პრინციპია, რომ კომპანიამ შემოსავლის აღიარებისას უნდა უზენაესი შეპირებული საქონლისა თუ მომსახურების კლიენტზე გადაცემა ისეთი თანხის სანაცვლოდ, რის მიღებასაც კომპანია ვარაუდობს ამ საქონლისა თუ მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გვთავაზობს ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც ამონაგების აღიარებაზე ვრცელდება:

- კლიენტთან დადებული კონტრაქტის იდენტიფიცირება;
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა;
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა;
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებებთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) კომპანია საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს.

ფასს 15-ის მიხედვით, კომპანია ამონაგებს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე “კონტროლი” კლიენტს გადაეცემა.

კომპანიამ ფასს 15-ის გამოყენება დაიწყო 2018 წლის 1 იანვრიდან, მოდიფიცირებული რეტროსპექტული მეთოდით. ამ სტანდარტის გამოყენებას არ ჰქონია გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 16 - იჯარა

ფასს 16 გვთავაზობს საიჯარო გარიგებების გამოვლენას, და მათ შესაბამის აღრიცხვას ფინანსურ ანგარიშგებაში როგორც მოიჯარე, ასევე მეიჯარისთვის. ძალაში შესვლისას ეს სტანდარტი ჩაანაცვლებს იჯარის შესახებ არსებულ ბასს 17-სა და მასთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს, 2019 წლის 1 იანვარის და მას შემდეგ პერიოდებისათვის. კომპანიისათვის ფასს 16-ის პირველი გამოყენების თარიღი იქნება 2019 წლის 1 იანვარი.

კომპანიამ გადაწყვიტა, ფასს 16 მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით გამოიყენოს, რაც ფასს 16:C5(b) შესაბამისია. ამდენად, სტანდარტის გამოყენების პირველ დღეს გამოყენების უფლების მატარებელი აქტივები, მათ შორის მიწა, შენობა-ნაგებობები და გადამცემი ხაზები საიჯარო ვალდებულების ოდენობით აისახება. ცვლად ანაზღაურებიან აქტივებს და 12 თვეზე ნაკლები სახელშეკრულებო ვადის მქონე აქტივებს კომპანია გამონაკლისად აკლასიფიცირებს და იჯარას არ აღიარებს. გამოყენების უფლების მატარებელი აქტივების ვადა 2-5 წელია. შესაბამისად, კომპანია შესადარის პერიოდს არ გადააფასებს. კომპანია გამოიყენებს ფასს 16-ზე გადასვლისას შესაძლებელ პრაქტიკულ გამონაკლისს და არ გადააფასებს, არის თუ არა კონტრაქტი იჯარა ან მოიცავს თუ არა იგი იჯარას.

ფასს 16-ში საიჯარო და მომსახურების კონტრაქტები ერთმანეთისგან განსხვავდება იმის მიხედვით, აკონტროლებს თუ არა მოცემულ აქტივს კლიენტი. საოპერაციო იჯარის (არასაბალანსო) და ფინანსური იჯარის (საბალანსო) განსხვავებები უქმდება და ნაცვლდება მოდელით, რომლის მიხედვით გამოყენების უფლების მქონე აქტივი და შესაბამისი ვალდებულება, ყველა სახის იჯარის შემთხვევაში, უნდა აღიაროს

იჯარის მიმღებმა (აღრიცხოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში). აღნიშნული არ ეხება დაბალღირებულებიანი აქტივების იჯარებსა და მოკლევადიან იჯარებს.

გამოყენების უფლების მქონე აქტივი თავდაპირველად აისახება მომავალი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, შემდგომში კი (გამონაკლისების გათვალისწინებით) თვითღირებულებისა და დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის სხვაობით, რომელიც საიჯარო ვალდებულების ნებისმიერი გადაფასებისას კორექტირდება. საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად აისახება აღიარების დღეს გადაუხდელი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით. ამის შემდგომ საიჯარო ვალდებულება კორექტირდება პროცენტისა და საიჯარო გადახდების ოდენობით, აგრეთვე, სხვა ფაქტორთა შორის, იჯარის ცვლილების გათვალისწინებით. გარდა ამისა, ცვლილება ეხება ფულადი ნაკადების კლასიფიკაციას, რადგან ბასს 17-ით გათვალისწინებული საოპერაციო იჯარის გადახდები საოპერაციო ფულად სახსრებში აისახება; მეორე მხრივ, ფასს 16-ის მოდელით, საიჯარო გადახდები იყოფა ძირითად და პროცენტის ნაწილებად და, შესაბამისად, შედის ფინანსური და საოპერაციო ფულადი სახსრების გაანგარიშებაში.

იჯარის მიმღების მხარეს არსებული აღრიცხვისგან განსხვავებით, ფასს 16-ში იჯარის გამცემის მხრიდან აღრიცხვიანობის პრინციპები ბასს 17-თან შედარებით მნიშვნელოვანწილად იგივეა. იჯარის გამცემი მოვალეა, იჯარა ან საოპერაციო იჯარად ჩათვალოს ან ფინანსურ იჯარად. კომპანიის ხელმძღვანელობა ელის, რომ ფასს 16-ის გამოყენებას მნიშვნელოვანი ზეგავლენა ექნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, თუმცა ახლა შეუძლებელია ეფექტის გონივრული შეფასება სანამ ფასს 16-ის დეტალური გადახედვა დასრულდება.

ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი

წლიური რედაქტირებების პაკეტის ფარგლებში ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ.

ფასს 3-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ კომპანიამ კონტროლი დაამყარა ისეთ ბიზნესზე, რომელიც ერთობლივ საქმიანობას წარმოადგენს, მან უნდა იხელმძღვანელოს ეტაპობრივად განხორციელებული გაერთიანების მოთხოვნებით, მათ შორის რეალური ღირებულებით გადაფასოს ერთობლივ საქმიანობაში ადრე ფლობილი წილი. ამ უკანასკნელში უნდა შევიდეს არააღიარებული აქტივები, ვალდებულებები და გუდვილი, რომელიც ერთობლივ საქმიანობასთან არის დაკავშირებული.

ფასს 11-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ კომპანია მონაწილეობს კომერციულ ერთობლივ საქმიანობაში, მაგრამ არ გააჩნია მასზე ერთობლივი კონტროლი, მოიპოვებს ერთობლივ კონტროლს მასზე, კომპანია არ გადააფასებს ერთობლივ საქმიანობაში მანამდე ფლობილ წილებს. ბასს 12-ის შესწორება განმარტავს, რომ პირმა დივიდენდებზე მოგების გადასახადის შედეგები მოგება- ზარალში, სხვა სრულ შემოსავალში ან კაპიტალში უნდა ასახოს იმის მიხედვით, თუ სად მოხდა გასანაწილებელი მოგების მომტანი ტრანზაქციების თავდაპირველი აღიარება. აღნიშნული ეხება ყველა შემთხვევას, იმის მიუხედავად, განაწილებულ და გაუნაწილებელ მოგებას სხვადასხვა გადასახადის განაკვეთი ერიცხება თუ არა.

ბასს 23-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ შესაბამისი აქტივის გამოსაყენებლად ან გასაყიდად გამზადების შემდეგ დასაფარი დარჩა ნასესხები სახსრების რაიმე ნაწილი, აღებულ სესხებზე კაპიტალიზაციის კოეფიციენტის დათვლის პროცესში ეს სესხი უნდა შევიდეს იმ თანხებში, რომლებსაც კომპანია ზოგადად სესხულობს.

ყველა შესწორება ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის და გამოიყენება პროსპექტულად. ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.

კომპანიის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორებათა გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასიკ 23 - მოგების გადასახადის დამუშავებასთან დაკავშირებული არასარწმუნოება

ფასიკ 23 გვთავაზობს საბუღალტრო საგადასახადო პოზიციის დადგენის მეთოდს ისეთ შემთხვევებში, როდესაც არსებობს მოგების გადასახადის დამუშავებასთან დაკავშირებული არასარწმუნოება.

ინტერპრეტაცია პირებს ავალდებულებს:

- განსაზღვრონ, არასარწმუნო საგადასახადო პოზიციები ინდივიდუალურად შეაფასონ თუ ჯგუფად; და
 - შეაფასონ, რამდენად სავარაუდოა, რომ საგადასახადო ორგანო მიიღებს გადასახადის გამოყენებული ან შემოთავაზებული დამუშავების წესს მოგების გადასახადის დეკლარაციაში:
- თუ სავარაუდოა, მაშინ პირმა საბუღალტრო საგადასახადო პოზიცია უნდა დაადგინოს გამოყენებულ ან დაგეგმილ დამუშავებასთან თანმიმდევრულად.
 - თუ არ არის სავარაუდო, მაშინ პირმა არასარწმუნოების ეფექტი უნდა ასახოს საბუღალტრო საგადასახადო პოზიციის დადგენის წესში.

კომპანიის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორებათა გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

წარდგენის საფუძველი და ბუღალტრული მნიშვნელოვანი პოლიტიკები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რომლებიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ, და ინტერპრეტაციების შესაბამისად, რომლებიც გამოცემულია ფინანსური აღრიცხვის ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის მიერ.

მომზადების საფუძველი - წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმის დაშვებით, რომ კომპანია მოქმედ საწარმოს წარმოადგენს და ოპერაციებს განჭვრეტად მომავალში გააგრძელებს.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგების წარდგენისას “ორგანიზაცია” იყენებს დარიცხვის მეთოდს.

საოპერაციო და საპრეზენტაციო ვალუტა. საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი და იგი წარმოადგენს კომპანიის, საოპერაციო ვალუტასა და იმ ვალუტას, რომელშიც კომპანიას ფინანსური ანგარიშგებაა წარმოდგენილი. ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში და ევროში. (2017 წლის 31 დეკემბრის შესაბამისი საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსით).

უცხოური ვალუტები. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას სუბიექტის საოპერაციო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში (უცხოური ვალუტები) წარმოებული ტრანზაქციები აღირიცხება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ტრანზაქციის დღეს დაწესებული გაცვლითი კურსით. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული ერთეულები

ადგილობრივ ვალუტაში კონვერტირდება იმ დღეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. უცხოურ ვალუტაში განსაზღვრული რეალური ღირებულებით აღიარებული არამონეტარული ერთეულები კონვერტირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ იმ დღეს დადგენილი კურსით, როდესაც რეალური ღირებულება განისაზღვრა. ისტორიული ღირებულებით უცხოურ ვალუტაში ასახული არამონეტარული ერთეულები არ კონვერტირდება. მონეტარულ ერთეულებზე საკურსო სხვაობა მოგება-ზარალში აღიარდება მათი წარმოშობის პერიოდში.

კომპანიის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას წლის ბოლოს მდგომარეობით გამოყენებული გაცვლითი კურსებია:

	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
ლარი/1 ევრო	3.0701	3.1044
ლარი/1 აშშ დოლარი	2.6766	2.5922

ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

აქტივები აღირიცხება გრძელვადიან და მოკლევადიან აქტივებად. ისეთი აქტივები, რომელთა მიღება ან გადახდა უნდა მოხდეს 12 თვის შემდეგ ან ექსპლუატაციის ვადა 12 თვეზე მეტია ნაღარებია გრძელვადიან აქტივად. ისეთი აქტივები, რომელთა მიღება ან გადახდა ხორციელდება 12 თვეზე ნაკლებ ვადაში აღირიცხება მოკლევადიან აქტივებად. მოკლევადიან აქტივებად აღირიცხება ის აქტივებიც, რომელიც მარაგებშია და მომავალ პერიოდში გარდაიქმნება საქონლად ან საქონელს წარმოადგენს და გასაყიდაა გამზადებული. მოკლევადიან აქტივებს საბალანსო მუხლებში შეყვანილია აგრეთვე სხვა ყველა ლიკვიდური აქტივები, წინასწარ გაწეული ხარჯები და ავანსები, რომელთა მისაღები მომსახურება ან მისაღები აქტივები 12 თვეზე ნაკლებ პერიოდში უნდა განხორციელდეს.

მოკლევადიანი აქტივები:

ფულადი სახსრები – ბალანსში მოცემულია საბანკო ანგარიშებზე და სალაროში განთავსებული ფულად სახსრები.

მოთხოვნები მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარდგენილია ბრუტო ღირებულებით. უიმედო მოთხოვნები „ორგანიზაციას“ არ ერიცხება.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები - მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები მოიცავს საქონელს, ნედლეულს და მარაგებს, შრომის საშუალებებს და სხვა მარაგებს. ბანკომატების შეცვლილი ნაწილების მიღება აღიარდება სასაქონლო-მატერიალური მარაგის და შემოსავლების ზრდით. რიგ შემთხვევებში ხდება შეცვლილი ნაწილების შეკეთება და შემდგომი გამოყენება. სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულების გამოთვლისას გამოიყენება საშუალო შეწონილი მეთოდი. საქონლის თვითღირებულებაში ჩართულია ყველა აუცილებელი ხარჯი (დანახარჯი), რომელიც ზრდის სასაქონლო მარაგების ღირებულებას - შეძენა, ტრანსპორტირება (ტრანსპორტირება ადგილზე მოტანისათვის). მიწოდებასთან დაკავშირებული (მიწოდების ხარჯი) ხარჯები, აგრეთვე დანაკარგის ხარჯები აღიარდება, როგორც პერიოდის ხარჯი და არ ჩაირთვება თვითღირებულებაში.

მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ მოიცავს პერიოდის ბოლოს ჯამურ ნაშთებს.

წინასწარ გადახდილი გადასახადები შედგება წინასწარ გადახდილი მოგებისა და დამატებული ღირებულების გადასახადებისგან.

გაცემული ავანსები წარმოადგენს ძირითადი მომწოდებლებისთვის (ბანკომატების და პოს-ტერმინალების მომწოდებელი) წინასწარ გაცემულ ანაზღაურებას, რომელიც მოცემულია ბრუტო ღირებულებით.

გრძელვადიანი აქტივები:

ძირითადი საშუალებები ბალანსში წარდგენილია ნარჩენი საბალანსო ღირებულებით, რომელიც ტოლია ისტორიულ ღირებულებას მინუს აკუმულირებული ცვეთა. ცვეთა ძირითად საშუალებებს ერიცხება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალების სავარაუდო გამოყენების პერიოდის მიხედვით. საგადასახადო მიზნებისათვის გამოიყენება სრულად გამოქვითვის მეთოდი. ლიზინგით აღებული ძირითადი საშუალება აღიარებულია აქტივად და სალიზინგო ვალდებულებას ლიზინგის დაწყების თარიღში. ცვეთა ლიზინგით აღებულ აქტივებს ერიცხებათ საკუთრებაში არსებული მსგავსი აქტივების შესაბამისი პოლიტიკით.

არამატერიალური აქტივები წარდგენილია ნარჩენი საბალანსო ღირებულებით, ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა. ცვეთა არამატერიალურ აქტივებს ერიცხება წლიური 15%-იანი განაკვეთით.

ვალდებულებები

„ორგანიზაციას“ საადრიცხვო მიზნებისთვის გამოიყენებული აქვს გრძელვადიანი და მოკლევადიანი ვალდებულებები.

მოკლევადიანი ვალდებულებები შედგება: ვალდებულებისგან მოწოდებიდან და მომსახურებიდან, მიღებული ავანსები, გადასახდელი გადასახდელები, გადასახდელი პროცენტები, გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი, გრძელვადიანი ლიზინგის მიმდინარე ნაწილი და ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე.

გრძელვადიანი ვალდებულებები შედგება გადავადებული საგადასახადო ვალდებულებისა, გრძელვადიანი ლიზინგის ვალდებულებისგან და გრძელვადიანი სესხისგან. ლიზინგი, რომლის დროსაც ლიზინგის საგნის საკუთრების უფლებასთან დაკავშირებულ ყველა რისკს და სარგებელს კომპანია იღებს, კლასიფიცირდება ფინანსური ლიზინგად. სალიზინგო აქტივები და შესაბამისი სალიზინგო ვალდებულება (ფინანსური ხარჯების გამოკლებით) აღიარდება სალიზინგო პერიოდის დასაწყისში ბალანსში გრძელვადიანი აქტივებისა და ვალდებულებების მუხლებში შესაბამისად, საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით. თითოეული სალიზინგო გადასახდელი გაყოფილია ფინანსურ ხარჯად და სალიზინგო ვალდებულების ნაშთი შემცირებად. ფინანსური ხარჯი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ისეთი ფორმით, რომელიც ასახავს მუდმივ პერიოდული საპროცენტო განაკვეთს ფინანსური ლიზინგის ვალდებულებაზე.

მოგების გადასახადის განაკვეთი ანგარიშგების პერიოდისათვის საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით 15%-ს შეადგენს. მოგების გადასახადი დაიანგარიშება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის და წინამდებარე ფინანსური აგგარიშგების მიხედვით.

2017 წლის იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობის და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების თანახმად, მოგების გადასახადი არ გამოითვლება წლიურად და შემოსავლის და ხარჯის აღიარებისას აღარ არის სხვაობა საგადასახადო კოდექსის და სტანდარტების მოთხოვნებს შორის. შესაბამისად, გადავადებული გადასახადი არ წამოიშვება. მიმდინარე გადასახადის ხარჯი დაანგარიშდება ისეთ ოპერაციებზე, რომლებიც საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად არის დასაბეგრი და ეს სხვაობები მუდმივია.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილება ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადის დარიცხვას ზოგიერთ ტრანზაქციაზე, რომლებიც მოგების განაწილებათ ითვლება, მაგალითად, ტრანზაქციებზე, რომლებიც ხორციელდება არასაბაზრო ფასებით, ისეთ ხარჯებზე, რომლებიც ბიზნესთან დაკავშირებული არ არის, ან საქონლის ან მომსახურების უფასოდ მიწოდებაზე. ამგვარი ტრანზაქციების დაბეგვრა ბასს 12 „მოგების გადასახადებით“ არ რეგულირდება და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება მოგების გადასახადების გარდა სხვა გადასახადების მსგავსად, ბასს 37-ის მოთხოვნების შესაბამისად, ტრანზაქციის განხორციელების მომენტში; თანხის ანაზღაურება, თუ ასეთი მოხდა, აღირიცხება აქტივად, თუ ანაზღაურება ფაქტობრივად გარდაუვალია.

